საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 1903-03
08/07/2020

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის 2019-2020 სასწავლო წლის ზაფხულის სემესტრის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის" წესდების მე-18 მუხლის 1-ლი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2020 წლის 29 ივნისის N5828-35 სამსახურებრივი ბარათისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 30 ივნისის N6 სხდომის გადაწყვეტილების გათვალისწინებით,

ვბრძანებ

1. დამტკიცდეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისთვის 2019-2020 სასწავლო წლის ზაფხულის სემესტრის აკადემიური კალენდარი, ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაცია განათავსოს უნივერსიტეტის ვებ.გვერდზე;
3. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას, ეს ბრძანება გააცნოს უნივერსიტეტის ფაკულტეტებს/სკოლას და ყველა სტრუქტურულ ერთეულს.

გიგა ზედანია

რექტორი